ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის, დასახული და მიღწეული შედეგების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. ასევე მოიცავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის **2020** წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	**წლიური გეგმა(დამტკიცებული)**	**დაზუსტებული**	**საკასო შესრულება**
შემოსავლები	16 219.2	16 376.9	**16 448.1**
გადასახადები	5 074.2	**5 074.2**	**5 466.3**
გრანტები	9 367.0	**9 524.7**	**9 504.3**
სხვა შემოსავლები	1 778.0	**1 778.0**	**1 477.5**
ხარჯები	8 767.1	**8 772.4**	**8 614.0**
შრომის ანაზღაურება	4 807.1	**4 826.9**	**4 817.7**
საქონელი და მომსახურება	2 961.3	**2 829.4**	**2 705.7**
პროცენტი	53.6	**53.6**	**53.6**

სუბსიდიები	125.7	124.0	123.9
გრანტები	5.9	5.9	5.8
სოციალური უზრუნველყოფა	599.2	613.7	603.0
სხვა ხარჯები	214.3	318.9	304.3
საოპერაციო სალდო	7 452.1	7 604.5	7 834.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7522.4	7674.8	7 075.5
ზრდა	8 386.0	8 538.4	7 859.6
კლება	863.6	863.6	784.1
მთლიანი სალდო	-70.3	-70.3	758.6
ფინანსური აქტივების ცვლილება	-153.3	**-153.3**	**675.7**
ზრდა	0	**0**	**829.0**
ვალუტა და			**829.0**
კლება	153.3	**153.3**	**153.3**
ვალუტა და	153.3	**153.3**	**153.3**
ვალდებულებების	-83.0	**-83.0**	**-82.9**
ზრდა			**-**
საგარეო			**-**
საშინაო			**-**
კლება	83.0	**83.0**	**82.9**
საგარეო			**-**
საშინაო	83.0	**83.0**	**82.9**
ბალანსი	0	**0,0**	**0**

2020 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი

შეადგენდა 153.3 ათას ლარს, ხოლო 2021 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 829.0 ათასი ლარი

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	**წლიური გეგმა(დამტკიცებული)**	**წლიური დაზუსტებული**	**საკასო შესრულება**		
შემოსულობები	**17 082.8**	**17 240.5**	**17 232.2**		
შემოსავლები	**16 219.2**	**16 376.9**	**16 448,1**		
არაფინანსური აქტივების კლება	**863.6**	**863.6**	**784,1**		
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**-**		**-**		
გადასახდელები	**17 236.1**	**17 393.8**	**16 556.5**		
ხარჯები	**8 767.1**	**8 772.4**	**8 614.0**		
არაფინანსური აქტივების ზრდა	**8 386.0**	**8 538.4**	**7 859.6**		
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**-**		**-**		
ვალდებულებების კლება	**83.0**	**83.0**	**82.9**		
ნაშთის ცვლილება	**-153.3**	**-153.3**	**675.7**		

ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 17 393.8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა 17 385.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 99.9 %.

<u>I შემოსავლები</u>

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 16 376.9 ლარი ფაქტიურად 16 448.1 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 100.4 % შეადგინა

I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 5 466.3 ათასი ლარი, გეგმის 5 074.2 ათასი ლარის 107.7 %-ს შეადგენს.

თანხის უდიდესი ნაწილი დამატებითი გადასახადის გადასახადზე მოდის.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2 099.6 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმის 1 850 ათასი ლარის 113.5 %- შეადგენს. ხოლო

დამატებითი ღირებულების გადასახადი 3 366.7 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრულის 3 224.2 ათასი ლარის 104.4 %-ს შედგენს.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 9 504.3 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 9 524.7 ათასი ლარი(99,8 %) მათ შორის: **გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან – 8 207.9** ათასი ლარი; **მათშორის:**

კაპიტალური 6 647.3 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი 1 281.4ათასი ლარი და 279.2 ათასი ლარი სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. **მიზნობრივი ტრანსფერი** დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 586.4 ათასი ლარი, **სპეციალური** 650.0 ათასი ლარი, ხოლო **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები** 60.0 ათასი ლარი

III სხვა შემოსავლები--დაგეგმილი იყო 1 778.0 ათასი ლარი, შემოსულია 1 477.5 ათას ლარის მოცულობის, რაც დაგეგმილის 83.0 %-ს შეადგენს.

შემოსავლები საკუთრებიდან: მ / შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 42.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 40.0 ათასი ლარი,(107.2 %.)

დივიდენდები-0 ათასი ლარი

რენტის სახით მობილიზებულია 1 249.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 1 567.0 ათასი ლარი 79.7 %-ია. მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1 173.4 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 76.0 ათასი ლარი.

საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია გეგმით განსაზღვრული იყო 86.0 ათასი ლარი, საკასო შესრულების შედეგად მიღებული გვაქვს 116.2 ათასი ლარი.(135.1 %) მ/ შორის:
ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულმა 107.3 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 99.7 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 7,1 ათასი ლარი; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების 0,2 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 0,3 ათასი ლარი.
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან 8.9 ათასი ლარი.

<u>ჯარიმებიდან და საურავებიდან</u> მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 41,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (75.0 ათასი ლარი) – 55.6%-ს შეადგენს.

<u>ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან</u> საანგარიშო პერიოდში მიღებულია 27.3 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პორგასამტეხლოდან 24.5 ათასი ლარი, ხოლო წინა წელში გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 2.745 ათასი ლარი. ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავალი 0,01 ათასი ლარი

<u>არაფინანსური აქტივებიდან</u> მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 784.1 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: 747.2 ათასი ლარი მიღებულია შენობა- ნაგებობების გაყიდვიდან, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 35.1 ათასი ლარი, მატერიალური მარაგებიდან 1.8 ათასი ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 17 393.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 16 556.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.2 %-ია. **მათ შორის: ხარჯების** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 8 772.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 8 614.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98,2 %-ია. **არაფინანსური აქტივების** ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 8 538.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 7 859.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92,0 %-ია. **ვალდებულებების კლების** მუხლიდან დაზუსტებულმა გეგმამ 83,0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულებამ 82,9 ათასი ლარია ანუ 99,9 %.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 826.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4 817.7 ათასი ლარი. რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8 %-ს შეადგენს.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 564.8 ათასი ლარი

ხელფასები 564.8 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 564.8 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 564.8 ათასი ლარი

2. მერია : შრომის ანაზღაურება 1 386.5 ათასი ლარი

ხელფასები 1 386.5 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 1 386.5 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 1 386.5 ათასი ლარი

3. სამხედრო : შრომის ანაზღაურება 103.7 ათასი ლარი

ხელფასები 103.7 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 103.7 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 103.7 ათასი ლარი

4. კურორტი ბახმარო: შრომის ანაზღაურება 34.0 ათასი ლარი

5. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია:

შრომის ანაზღაურება 13,3 ათასი ლარი

6. დასუფთავება ნარჩენების გატანა:

შრომის ანაზღაურება 212.5 ათასი ლარი

7. მწვანე ნარგავების მოვლა-პარტონობა:

შრომის ანაზღაურება 13.6 ათასი ლარი

7. სკოლამდელი განათლების დაფინანსება:

შრომის ანაზღაურება 1 112,6 ათასი ლარი

8. კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება: შრომის ანაზღაურება 1 326,9 ათასი ლარი

9. საზოგადოებრივი ჯანდაცვა: შრომის ანაზღაურება 49.8 ათასი ლარი.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 2 829.4 ათასი ლარის ოდენობით.

საკასო შესრულებამ კი შეადგინა 2 705.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.6 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების" კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 648.3 ათასი ლარი;

- ✓ მივლინებები - 7.4 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 0.5 ათასი ლარი; მერია 4.0 ათასი ლარი, თავდაცვას 0.7 ათასი ლარი. სკოლამდელი განათლების დაფინანსება 0.5 ათასი ლარი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 1.6 ათასი ლარი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა 0.1 ათასი ლარი

- ✓ ოფისის ხარჯები - 561.7 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს ოფისის ხარჯები 19.1 ათასი ლარი, მერია 78.9 ათასი ლარი, თავდაცვას 2.3 ათასი ლარი, საგანგებო ბიუჯეტი 0.1 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 290.5 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვა 18.5 ათასი ლარი, განათლება 94.6 ათასი ლარი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 52.5 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა 5.2 ათასი ლარი.

- ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები - 6,5 ათასი ლარი;

კვების ხარჯები 112.0 ათასი ლარი

სამედიცინო ხარჯები 14.0 ათასი ლარი

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენისდა პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები 24,8 ათასი ლარი.

- ✓ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-

  შენახვის ხარჯები - 754.8 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 82.7 ათასი ლარი; მერია 141.1 ათასი ლარი, თავდაცვა--11.1 ათასი ლარი, საგანგებო ბიუჯეტი 5.1 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 7,2 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა 107.7 ათასი ლარი; განათლება 360.7 ათასი ლარი; საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა 33,1 ათასი ლარი. საზოგადოებრივი ჯანდაცვა 6.1 ათასი ლარი .

სხვადანარჩენი საქონელი და მომსახურება-- 576.2 ათასი.

,,**პროცენტების**“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 53,6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ 53,6 ათასი ლარი შეადგინა.

,,გრანტები”- გეგმა განისაზღვრა 5,9 ათასი ლარით , საკასო შესრულებამ შეადგინა 5,8 ათასი ლარი

„**სუბსიდიების”** მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა

124,0 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 123.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,9 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- ➢ განათლების ხელშეწყობა - 26,2ათასი ლარი;
- ➢ საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა- 1,5 ათასი ლარი;
- ▯ რელიგია--10,0
- ➢ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა - 13,6 ათასი ლარი;
- ➢ სოციალური პროგრამების თანადაფინანსება - 72,5 ათასი ლარი.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 613.7 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 603.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.3 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- დაკრძალვის ხარჯები 1,1 ათასი ლარი;
- ლტოლვილთა დახმარება - 8,6 ათასი ლარი;
- ომის ვეტერანების ოჯახების დახმარება - 18,3 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 374,5 ათასი ლარი
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 176,2 ათასი ლარი.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა 1,2 ათასი ლარი.

თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 11,9 ათასი ლარი, ხოლო ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 11,2 ათასი ლარი

„სხვა ხარჯების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 318,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 304,3 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 95,4 %ია.

„სხვა ხარჯების” მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

საკრებულოს ხარჯები ---73,8 ათასი ლარი

მერია 8,2 ათასი ლარი

მგეფისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა--
2,5 ათასი ლარი

საგანგებო ბიუჯეტი 0,3 ათასი ლარი

- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 5,2 ათასი ლარი.
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
  9,8 ათასი ლარი;
- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება - 198,4 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისთვის - 3,0 ათასი ლარი.

ოჯახებისა და ბავშვების დახმარება 2,1 ათასი ლარი

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა 1,0 ათასი ლარი.

ვალდებულებების კლების მუხლიდან დაზუსტებულმა გეგმამ 83,0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულებამ 82,9 ათასი ლარია ანუ 99,9 %.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება:

◙ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 2 809,4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის

(2851,4 ათასი ლარი) 98,5 % შეადგენს.

მათ შორის:

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა 2586,4 ათასი ლარი(გეგმა) ფაქტი 2545,2 ათასი ლარი. 98,%

ფინანსური და ფისკალური საქმიანობა 122.0 ათასი ლარი გეგმით, ხოლო ფაქტიურად 121,3 ათასი ლარი. 99,4 %

ვალთან დაკავშირებული ოპერაციები 143,0 ათასი ლარი გეგმით, ფაქტიურად 142,9 ათასი ლარი. 99,3 %

◙ თავდაცვის სფეროში დაგეგმილ იქნა 130,8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 128,4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98,2 %.

◙ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 6 232,5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 5 690,8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91,3 %,

გარემოს დაცვა სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა

516,3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 502,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97,3 %,

საბინაო - კომუნალური მეურნეობა, დაგეგმილ იქნა 1 618,9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 595,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98,6 %.

◙ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 106,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 98,8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93,2 %,

◙ <u>კულტურა, ახალგაზრდული,სპორტული, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად</u>

განსაზღვრული იყო 2 452,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 443,9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,7%.

- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 2 692,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 2 499,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92,8 %, მათ შორის:
- სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 793,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 787,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,3 %, მათ შორის:

2020 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფიანსური აქტივები ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით			
დასახელება		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
7.10	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	2 851,4	2 809,4
7.20	თავდაცვა	130,8	128,4
7.40	ეკონომიკური საქმიანობა,	6 232,5	5 690,8
7.50	გარემოს დაცვა	516.3	502,5
7.60	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	1 618,9	1 595,7
7.70	-ჯანმრთელობის დაცვა,	106,0	98,8
7.80	-დასვენება და კულტურა,	2 452,1	2 443,9
7.90	განათლება	2 692,5	2 499,5
7.10	სოციალური დაცვა	793,3	787,5
	სულ ჯამი	**17 393,8**	**16 556,5**

სარეზერვო ფონდი

2020 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო გამოყოფილია 122,0 ათასი ლარი.

ფაქტიურად გახარჯულია 121,3 ათასი ლარი(99,4 %)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებია

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
2. დასუფთავება და გარემოს დაცვა;
3. განათლება;
4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები

2. **ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

დაფინანსებულია 7 286,5 ათასი ლარით რაც გეგმის (7 851,4 ათასი ლარი) 92,8 პროცენტია;

2.1 (02 01) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა დაფინანსებულია 3 260,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (3 305,2 ათასი ლარი) 98,6%-ს შეადგენს.

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდა ჭარბი თოვლის საფარისაგან გზების განთავისუფლება. განხორციელდა სოფ. ერკეთი-კოხი-ონჭიქეთის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; დაბა ჩოხატაურში, დუმბაძის ქუჩაზე ბაზრის მოედნის რეაბილიტაცია(ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა). ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გოგოლესუბნის ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრიდან დობიროს უბანში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში , სოფ ჯვარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში,შიდა გზაზე(ჩანტლაძეების უბანი)ასფლატობეტონის საფარის მოწყობის, სოფელ ზომლეთში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. სოფელ ნაბეღლავში და თავპანტაში, სოფელ ვაზიანში, სოფელ კოხნარში და ბურნათში, სოფელ განთიადი-გოგოური-თხილაგანში, სოფელ დაბლაციხე-საყვავისტყეში, სოფელ ბუკისციხეში შიდა გზების რეაბილიტაცია. სოფელ შუაამაღლების ცენტრში ა/ბეტონის საფარის მოწყობა.სოფელ ქვაბღაში შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები. სოფ. გუთურში

გურამიშვილის ქუჩის გაგრძელებაზე და სასაფლაოსთან ასფალტობეტონის მოწყობა. სოფელ ქვემოხეტში შიდა გზების რეაბილიტაცია. სოფ ზემოსურებში სანის ღელეზე მილხიდის და გზებზე მილების მოწყობა. აოფ. შუაამაღლების ცენტრში ასფალტობეტონის საფარის და წყალგამტარი მილის მოწყობის სამუშაოები. სოფ. ბუკნარში მდინარაძეების და მახარაძეის უბანში ხიდების და წყალგამტარი მილების მოწყობა.სოფელ ზომლეთში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სოფელ გორაბერეჟოულში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ხიდისთავი_ჭაჭიეთის დამაკავშირებელ გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.

2.2 (02 02) გარე განათება დაფინანსდა 264,9 ათასი ლარით, რამაც გეგმის (265,6 ათასი ლარი) 99.7 პროცენტი შეადგინა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარე განათების არსებული ქსელის მოვლა შენახვა, დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; მოეწყო 38 ცალი გარე განათების ფარი, სულ ჯამში დამატებით განათდა 1 500 მეტრიგზისმონაკვეთი. მოწყობილია გარე განათების ახალი სანათები და გაზრდილია გარე განათებით უზრუნველყოფილი გზების მონაკვეთი. განხორციელდა გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის შედეგად წარმოშობილი ელ. ენერგიის ხარჯის გადახდა.

2.3 (02 03) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 1 328,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (1 635,2 ათასი ლარი) 81,2 %.

პროგრამის ფარგლებში მოხდა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებები სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შუა ამაღლების ადმინისტრაციული ერთეულში, სოფელ შუა ამაღლების ცენტრში მდებარე შენობის რეაბილიტაცია. დაბა ჩოხატაურში დაიწყო ახალი რეკრეაციულ-დასასვენებელი სივრცის მოწყობა. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოხდა არსებული და ახალი წყალგაყვანილობის ქსელის რეაბილიტაცია, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ, ახალშენში და ზემო

ფარცხმაში მოეწყო სასმელი წყლის შიდა ქსელი, სოფელ ხიდისთავში წყლის სისტემის და სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია.

2.4 (02 04) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

ამ მიზნით გამოიყო სულ 730,5 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 730,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (საერთო კრებაზე) მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად და მოსახლეობასთან შეთანხმებით შერჩეული პროექტების დაფინანსება.

2.5 (02 05) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა დაფინანსდა 429,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 435,9 ათასი ლარის 98,5 % ია.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდა 2020 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, განხორციელდა ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.

2.6 (02 06) სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას 2020 წლის განმავლობაში 1 157,7 ათასი ლარი მოხმარდა, რაც გეგმის 1 361,3 ათასი ლარის 85,0 %.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები. სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.7 (02 07) ა(ა)იპ ,,კურორტი ბახმარო“ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოიყო სულ 117,7 ათასი ლარი. პროგრამა დაფინანსდა 115,2 ათასი ლარით (97,9 %)

შეძლებისდაგვარად მოწესრიგდა კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურა; განხორციელდა კურორტის დამსვენებლებისთვის გაუმჯობესებული სანიტარული პირობების შექმნა.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

3.1.პროგრამა დაფინანსდა 502,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 516,3 ათასი ლარის 97,3 % ია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დაბასა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვება და გატანა. კომუნალური სამსახური ,,სხივი" ახორციელებდა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას და ნარჩენების გატანას. სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ჩატარდა მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. განხორციელდა დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელვითი სამუშაოები.

განათლება 04 00

4. განათლების ღონისძიებები დაფინანსებულია 2 504,4 ათასი ლარით, რაც გეგმის (2 697,4 ათასი ლარი) (98,8 %)მათ შორის განხორციელდა შემდეგი სახის ქვეპროგრამები:

4.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსებას მოხმარდა 1 349,0 ათასი ლარი.(04 01)გეგმის 1 365.0 ათასი ლარის 98,8 %

საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემო შეიქმნა, უზრუნველყოფილი იქნა მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურეობა. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდა.

მუნიციპალიტეტში ამ დროისათვის ფუნქციონირებდა 20 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებდა 500 ამდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა داااფინანსა ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასები და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯები.

4.2 განათლების სისტემის ხელშეწყობის(04 02) ფარგლებში გამოყოფილი იყო 439,7 ათასი ლარი. გაიხარჯა 380,9 ათასი ლარი. მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადადგილებასა და სხვა ღონისძიებების მოწყობას. მოხდა მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.

4.3 საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა.(04 04) ამ კუთხით დაფინანსებამ შეადგინა 11,4 ათასი ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მოხდა მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით კადრების გადამზადება.

4.4 საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა და რეაბილიტაცია(04 05)
დაფინანსდა 671,5 ათასი ლარით, გეგმის 774,2 ათასი ლარის 86,7 %

ამჟამად მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 32 საჯარო საჯარო სკოლა. განხორციელდა საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მატერიალური ბაზის გაუმჯობესება.

საბავშვო ბაღების მშენებლობა- რეაბილიტაცია (04 06) დაფინანსდა 91,6 ათასი ლარით. გეგმის 107,2 ათასი ლარის 85,4 %

სოფელ საჭამიასერში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში N2 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება დაზუსტებული გეგმით შედგენდა 2 457,8 ათას ლარს, საკასო ხარჯმა შეადგინა 2 449,5 ათასი ლარი(გეგმის 99,7 %)

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა 1 065,3 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონოდათ შესაძლებლობა უზრუნველეყოთ სპორტსმენებისათვის

სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდა ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა;

აგრეთვე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საფეხბურთო კლუბი ,,ბახმარო". სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, განხორციელდა სოფელ ხევში მინი სტადიონის მოწყობა, სოფ ხიდისთავში ფეხბურთის სტადიონის რეაბილიტაცია, აღმაშენებლის და ჯალაღანიას ქუჩებზე სპორტული მოედნების მოწყობა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობის კუთხით დაფინანსდა 1 291,2 ათასი ლარით.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, დაფინანსდა კულტურის ცენტრი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, არაფორმარული განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი.

4.3 საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის ფარგლებში გაწეული იქნა 83,0 ათასი ლარის ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. 2020 წელში გაეროს განვითარების პროგრამის, პროექტი - „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში - ფაზა 2" ფარგლებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ მუნიციპალიტეტებისთვის გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოამზადა პროექტი - „ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება ბახმაროს ტურისტული პოტენციალის გამოყენების გზით". პროექტით განხორციელდა საკენპინგე-მოსასვენებელი, სავაჭრო და სანიტარულ - ჰიგიენური ინფრასტრუქტურის მოწყობა ცხრაწყარო-ბახმაროს მონაკვეთებსა და დაბა ბახმაროში არსებულ ლოკაციებზე.

4.4 რელიგიური ორგანიზაციების ხელისშეწყობის მიზნით გაიხარჯა 10,0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა;

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა 975,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (998,9 ათასი ლარი) 97,6%-ია.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით პროგრამების ფუნქციების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა 112,1 ათასი ლარი. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 104,8 ათასი ლარი 93,5 %.

პროგრამა ითვალისწინებს საბიუჯეტო და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას,

განხორციელდა შემდეგი სამუშაოები კერძოდ:

- ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა.
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები. განხორციელდა კორონა ვირუსის (კოვიდ-19) გავრცელების საწინააღმდეგო სამუშაოები. 2020 წელში კოვიდ -19 -ის კვლევა განხორციელდა 4360 ადამიანზე. პისიარ კვლევა ჩაუტარდა 3937 პირს. სწრაფი ტესტირება ჩაუტარდა 423 მოქალაქეს.

5.2 სოციალური პროგრამები დაფინანსდა 870,9 ათასი ლარით.

პროგრამა ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით. მოხდა სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობის

გაუმჯობესება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებმაც მთლიანობაში უზრუნველყვეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

5.2.1. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგული პირების, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 01) (2,0 ათასი ლარი)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მეორე მსოფლიო ომში მონაწილე 3 ვეტერანები ერთჯერადი ფულადი დახმარებით 350 ოდენობით.

5.2.2 მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამით გათვალიწინებული დახმარება გაეწია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს 5000 ლარამდე ერთჯერადად, დროებით თავშესაფრის უზრუნველყოფისათვის მოხდეა 20 ოჯახის ბინის ქირით უზრუნველყოფა 110.0 ლარის ოდენობით.

5.2.3 ლტოლვილთა დახმარება(პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამით დახმარება მიეცა სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს ზამთრისათვის სათბობის შეძენაზე 200 ლარის ოდენობით, სხვა გადაუდებელი საჭიროებებიდან გამომდინარე არაუმეტეს 100 (ასი) ლარი, დაკრძალვის ხარჯი ერთჯერადად არაუმეტეს 250 ლარისა (10,0 ათასი ლარი).

5.2.4 საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის

დაღუპულთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცა 1989 წლის 9 აპრილს მოწამლულ ორ პიროვნებას და ერთი დაღუპულის ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, მოწამლულს

ყოველთვიურად 150 ლარი, სულ 5100 ლარი. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა 3 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 1 500 ლარი. აფხაზეთის დაცემის დღესათან დაკავშირებით ომში დაღუპულთა 8 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 4 000 ლარი. ყოველთვიურად ერთ ოჯახს 300 ლარი, სულ 3 600 ლარი. ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობის შესაძენად თითოეულ ოჯახს 200 ლარი, სულ 2800 ლარი.

5.2.5 სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:

ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვებისათვის საკვების შე ძენა

18 წელს ზევით ასაკის პირები რომელთა სარეიტინგო ქულა 65001 დან 150 000 - მდეა სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა;

18 წელს ზევით ასაკის შ.შ.მ პირების სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა;

ონკოლოგიური დაავადებით დაავადებულთა სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების შეძენის და ოპერაციის შემდგომი გამოკვლევების ხარჯი;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულ ქვრივებისადმი სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შეძენის ხარჯი;

0-დან 18-წლამდე ასაკის პირების სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების ხარჯი;

გულის თანდაყოლილი პათოლოგიით (გულის მანკი) დაავადებული, ეპილეფსიითა და ცერემბრლური დამბლით დაავადებულ 0-დან 18-წლამდე ასაკის პირთა სამედიცინო სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსება;

ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა დახმარება;

დამქირავებლის სოციალური ფულადი დახმარება (საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება);

0-დან 18 წლამდე ასაკის პირთა ლოგოპედური სამედიცინო მომსახურება.

2-დან 16 წლამდე ბავშვების აუტიზმის სპრექტის მოშლილობა, სტიკური კვლევების დაფინანსება.

სოციალურად დაუცველი 0- დან 150 000 -ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირების ძვირადღირებული კვლევა(კომპიუტერული ტომოგრაფია) თანადაფინანსება

5.2.6 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახების დახმარება;

ახალშობილთა ოჯახებზე დახმარება;

დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება;

მარტოხელა (უპატრონო) პირთა სარიტუალო მომსახურება;

ხანდაზმულ პირთა დახმარება;

თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირებისადმი დახმარება, რომლებიც გადიან დიალეზის კურსს;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულთა ქვრივებისადმი მატერიალური მხარდაჭერა , სადღესასწაულოდ ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავთან დაკავშირებით ზამთრის სეზონისათვის სათბობის შეძენაზე დახმარება;

0-დან 18-წლამდე ასაკის შ.შ.მ პირების ოჯახების დახმარება (კომუნალური გადასახადი);

განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა პატრონაჟისა და მონიტორინგისათვის ფინანსური დახმარება თანადაფინანსების სახით.

5.2.7 გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა(.06 02 08)

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ფინანსური დახმარება.

გამარჯვებულ ქალთა კლუბის ფინანსური დახმარება.

5.2.8 სოციალური პრობლემების და კულტურულ- საგანმანთლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამები (06 02 09) დაფინანსდა 72,5 ათასი ლარით. დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

ა(ა)იპ განათლების ცენტრის (6-დან 18-წლამდე პირების დღის ცენტრი, კომუნალური და კვების პროდუქტების ხარჯი);

დაფინანსდა წითელი ჯვარი;

ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 12 თვეში ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:

№	ორგანიზაციული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	12 თვის შესრულება
1	01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2 872,0	2 838,0
2	02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	3 305,2	3 260,3
3	02 02	გარე განათება	265,6	264,9
4	02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 635,2	1 328,5
5	02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	730,5	730,3
6	02 05	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო	435,9	429,5
7	02 06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	1 361,3	1 157,7
8	02 07	კურორტი ბახმარო	117,7	115,2
9		დასუფთავება და გარემოს დაცვა	516,3	502,5
10	04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1 365,0	1 349,0
11	04 02	განათლების სისტემის ხელშეწყობა	439,7	380,9
12	04 04	საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა	11,4	11,4
13	04 05	საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა, რეაბილიტაცია	774,1	671,5
14	04 06	საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები	107,2	91,6
15	05 01 04	სპორტული ობიექტების დაფინანსება	178,5	175,8
16	05 01 05	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი	380,6	380,4
17	05 01 06	სპორტული და საბავშვო ობიექტების	509,1	509,1

		აღჭურვა, რეაბილიტაცია		
18	05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	1296,5	1 291,2
19	05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	83,1	83,0
20	05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	10,0	10,0
21	06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	112,1	104,8
22	06 02 01	დაკრძალვის ხარჯები	2,0	1,1
23	06 02 03	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	202,7	198,4
24	06 02 04	დევნილთა დახმარება	11,0	8,6
25	06 02 05	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება	21,0	18,8
26	06 02 06	სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	379,2	377,4
27	06 02 07	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	178,5	178,3
28	06 02 08	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	19,8	15,8
29	06 02 09	სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანთლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების დაფინანსება	72,6	72.5
		სულ	**17 393,8**	**16 556,5**

ა(ა)იპ კურორტი ბახმარო-ს ბიუჯეტის 2020 წლის მაჩვენებლები		
გადასახდელები	**გეგმა**	**საკასო შესრულება**
ხარჯები	**117,7**	**115,2**
ხარჯი	117,7	115,2
შრომის ანაზღაურება	34,1	34,1
საქონელი და მომსახურება	83,6	81,1
არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0

ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“ -ის ბიუჯეტის 2020 წლის მაჩვენებლები

დასახელება(გარე განათება)	სულ	საკასო შესრულება
გადასახდელები	**265,6**	**264,9**
ხარჯები	263,7	263,0
შრომის ანაზღაურება	13,9	13,4
საქონელი და მომსახურება	249,8	249,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,9	1,9

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების ბიუჯეტის 2020 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	**სულ**	**საკასო შესრულება**
გადასახდელები	**319,3**	**317,4**
ხარჯები	315,0	313,1
შრომის ანაზღაურება	289,9	289,9
საქონელი და მომსახურება	24,5	22,6
სოციალური უზრუნველყოფა	0.6	0,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,3	4,3

ა(ა)იპ კულტურის ცენტრის ბიუჯეტის 2020 წლის მაჩვენებლები (ათასი ლარი)		
დასახელება	**სულ**	**საკასო შესრულება**
გადასახდელები	**661,1**	**659,1**
ხარჯები	656,6	654,7
შრომის ანაზღაურება	348,6	348,6
საქონელი და მომსახურება	304,0	302.1
სხვა ხარჯი	4,0	4,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,5	4,4

ა(ა)იპ არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი ბიუჯეტის 2020 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	**სულ**	**საკასო შესრულება**
გადასახდელები	**311,0**	**309,8**
ხარჯები	309,4	308,3
შრომის ანაზღაურება	257,2	257,2
საქონელი და მომსახურება	49,3	48,2
სოციალური	2,9	2,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,6	1,5

ა(ა)იპ სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი ბიუჯეტის 2020 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	**სულ**	**საკასო შესრულება**
გადასახდელები	**380,6**	**380,4**
ხარჯები	379,5	379,3
შრომის ანაზღაურება	292,6	292,5
საქონელი და მომსახურება	82,4	82,3
სხვა ხარჯი	4,5	4,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,1	1,1

ა(ა)იპ ს.ს.ს. დაწესებულება „მომავალი" ბიუჯეტის 2020 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	**სულ**	**საკასო შესრულება**
გადასახდელები	**1 365.0**	**1 349.0**
ხარჯები	1 361,0	1 345.0
შრომის ანაზღაურება	1 113,1	1 112,7
საქონელი და მომსახურება	241,4	225,8
სოციალური უზრუნველყოფა	6,5	6,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,0	4,0

ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრი -ს ბიუჯეტის 2020 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	სულ	საკასო შესრულება
გადასახდელები	**112,1**	**104,8**
ხარჯები	112,1	104,8
შრომის ანაზღაურება	53,9	49,7
საქონელი და მომსახურება	57,0	53,9
სოციალური უზრუნველყოფა	1,2	1,2

საფეხბურთო კლუბი „ბახმარო"-ს ბიუჯეტის 2020 წლის მაჩვენებლები		
დასახელება	სულ	საკასო შესრულება
გადასახდელები	**178,5**	**175,8**
ხარჯები	178,5	175,8
შრომის ანაზღაურება	138,9	138,8
საქონელი და მომსახურება	39,6	37,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0

ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“ -ის ბიუჯეტის 2020 წლის მაჩვენებლები		
დასახელება(დასუფთავება და გარემოს დაცვა)	სულ	საკასო შესრულება
გადასახდელები	**516,3**	**502,5**
ხარჯები	515,1	501,4
შრომის ანაზღაურება	226,1	226,1
საქონელი და მომსახურება	289,1	275,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,1	1,1